

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში 2022 მარტი

04.04.2022 www.geostat.ge



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.04.2022

ინფლაცია საქართველოში

2022 წლის მარტი


2022 წლის მარტში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 2.5 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 11.8 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას¹, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წლის მარტში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის² მაჩვენებელი 6.0 პროცენტით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში წინა თვესთან შედარებით.

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით

ჯგუფების წვლილი 2022 წლის მარტის ინფლაციაში (სულ 2.5%)



* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

¹ საბაზო ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

² თამბაქოს გარეშე საბაზო ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; თამბაქო; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.04.2022

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 8.9 პროცენტით, რაც 1.03 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები გაზრდილია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (11.9 პროცენტი), სატრანსპორტო მომსახურებაზე (3.3 პროცენტი) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (1.3 პროცენტი);

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 2.0 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.68 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (6.6 პროცენტი), ხილი და ყურძენი (5.0 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (4.3 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (3.4 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (3.1 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (2.1 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (1.7 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (1.4 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ბოსტნეულსა და ბალჩეულზე (-4.0 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2022 წლის მარტის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.04.2022

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	17.8
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	6.3
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	0.5
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	8.4
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	12.7
ჯანმრთელობის დაცვა	4.2
ტრანსპორტი	21.6
კავშირგაბმულობა	1.5
დასვენება, გართობა და კულტურა	3.1
განათლება	3.6
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	13.1
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.9

ჯგუფების წვლილი 2022 წლის მარტის ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 11.8%)



ინფლაციის დონე, სულ

11.8

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 17.8 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 5.69 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (27.0 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (24.6 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (23.5 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (20.0 პროცენტი), თევზი (19.0 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (17.1 პროცენტი), ხილი და ყურძენი (16.8 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (15.3 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (14.1 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (10.5 პროცენტი);


ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 21.6 პროცენტით, რაც 2.6 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები მომატებულია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (29.5 პროცენტი), სატრანსპორტო მომსახურებაზე (6.1 პროცენტი) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (3.8 პროცენტი);

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.04.2022

საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 8.4 პროცენტის მატება, რაც 0.85 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (12.9 პროცენტი), ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (11.3 პროცენტი) და ფაქტიური გადასახადი საცხოვრებელზე (2.4 პროცენტი).


ყოველთვიური ინფლაცია




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

04.04.2022

წლიური ინფლაციის დონე საქართველოში (წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში (12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



საკონტაქტო პირები:

გიორგი თეთრაული
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (400)
E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020).
E-mail: mkavelasvili@geostat.ge